ოჯახის მენეჯმენტი ქართულ კულტურაში

ციალა ლომაია
სტუ-ს და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

ოჯახი საზოგადოების ურთულესი უჯრედია, რომელიც შედგება ცალკეული ადამიანებისაგან, რომელთაც აქვთ საერთო მიზნები და ერთად მუშაობის სურვილი. მათი კავშირი ფორმდება იურიდიულად და დაცულია სახელმწიფოს მიერ. ოჯახის ეკონომიური სიძლიერე ბევრად განსაზღვრავს საზოგადოების ეკონომიკურ მდგომარეობას. რაც უფრო მდიდარია ცალკეული ოჯახები, მით უფრო შეძლებულია საზოგადოება. თითოეულ ოჯახს სჭირდება მართვითი ფუნქციების შესრულება, ყველაზე უმარტივესი ადამიანური მოქმედებაც კი შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მართვის პროცესის გარეშე. ნებისმიერ ადამიანურ ქმედებას, თუ მას სავსებით გარკვეული მიზანი არ გააჩნია ვერ მივიჩნევთ ლოგიკურ საქმიანობად. მენეჯმენტის საფუძველია წლების განმავლობაში დაგროვილი მმართველობითი ცოდნის ერთობლიობა, რომელიც ჩამოყალიბდა მართვის მეთოდების, თეორიების, წესებისა და ფორმების სახით. თითოეული ოჯახი ეწევა მართველობით საქმიანობას, მათ უნდა დაგეგმონ, ორგანიზება გაუკეთონ და აკონტროლონ თავიანთი საქმიანობა და ოჯახში მიმდინარე პროცესები, ასტიმულირონ თავი რაიმე მიზნებისაკენ და ცხოვრების ინტერესისადმი, დააკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები, ჰქონდეთ კომუნიკაციები გარშემომყოფებთან, შეეძლოთ ოჯახის წევრებს შორის ჰარმონიული ურთიერთობის დამყარება და ჯანსაღი, მშვიდი ატმოსფეროს შექმნა, გადაწყვეტილების მიღება, სხვადასხვა წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა, ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება, ოჯახის წევრების უსაფრთხოების დაცვა. ყოველი ადამიანი სოციალური არსებაა, რომელიც ცხოვრობს ორგანიზებულად და გააჩნია საკუთარი ინტერესები. ადამიანთა გარკვეული ერთიანობა, რომელიც ცდილობს მიაღწიოს კონკრეტულ მიზანს მენეჯმენტი ეწოდება.

ოჯახური მენეჯმენტი არის მეცნიერება დაგროვილი სიბრძნის, თეორია და ხელოვნება გრძნობათა სიღრმისა და ემოციების, ეს არის მიზანი მიაღწიო ეფექტურობასა და პასუხისმგებლობას, რომელსაც გვთავაზობს ოჯახური ცხოვრება. ეს არის სულიერი ინსტიტუტი, რომლითაც გააზრებულად და ჰარმონიულად იმართება ყოველდღიური ოჯახური ცხოვრება. ოჯახის ეფექტური მართვა საზოგადოების და სახელმწიფოს წარმატების და სტაბილურობის გარანტიაა. ოჯახი არის ის ბაზისი, რომელზეც უნდა დაშენდეს ქვეყნის მომავალი. მართვა გულისხმობს ოჯახის წევრებს შორის ჰარმონიული ურთიერთობით დასახული მიზნის მიღწევას. ოჯახს საფუძველი ქორწინებით ეყრება. ქორწინება და შობადობა ოჯახის ბიოლოგიურ საწყისებს წარმოადგენენ. აქ ხორციელდება და ყალიბდება მეუღლეების, მშობლების ,შვილების, და-ძმების და სხვათა მრავალმხრივი ურთიერთობა და ურთიერთდამოკიდებულებანი.

მენეჯმენტი არის მართვის ხელოვნება, რომლის ფუნქციებია: დაგეგმარება, ორგანიზება, მოტივაცია, კონტროლი რეგულირება. კომუნიკაციების განხორციელება, გადაწყვეტილებების მიღება, ეს პროცესი მიმდინარეობს გააზრებულად, როდესაც წყვილები შეთანხმებულად არეგულირებენ საერთო მისიას, ღირებულებათა პრიორიტეტებს, მიზანს, გეგმას და მათი მიღწევის გზებს, რათა განავითარონ და გააძლიერონ თავიანთი ოჯახი. არსებობს ოჯახები, რომლებიც არ უდგებიან ამ საკითხს ასე კომპლექსურად და სისტემურად, ისინი მხოლოდ რეაგირებენ საგარეო და საშინაო ურთიერთობების ცვლილებებზე. ოჯახის სიმყარე დამოკიდებულია ფუნდამენტურ პრინციპებზე და ღირებულებებზე, რომელზედაც შენდება და ვითარდება ოჯახი.

ოჯახის დაგეგმარება მნიშვნელოვანია ცივილიზებული სამყაროსათვის. ეს ნიშნავს ერის გამრავლებისათვის ხელის შეწყობას, შობადობის რეგულაციას. ეს არის სოციალურ-ეკონომიური, სამართლებრივი, სამედიცინო მიმართულება.

ადამიანების დამოკიდებულება ქორწინების ასაკის მიმართ და ოჯახის დაგეგმვის მიმართ სხვა და სხვა ეპოქებში მუდმივად იცვლებოდა, მაგრამ თაობათა გამოცდილებამ დაადგინა ერთი ჭეშმარიტება - ოჯახის შექმნა უმჯობესია მაშინ, როდესაც ადამიანი მომწიფებულია ამისთვის, მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელია მყარი ოჯახი. მაგრამ როდის დგება ამგვარი სიმწიფის ასაკი? მის დადგენაში პირა-

დობის ან პასპორტის მიღების ეტაპი ალბათ არ შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ კრიტერიუმად. ოჯახური ცხოვრებისთვის მზადყოფნა არ განისაზღვრება მხოლოდ ფიზიკური სიმწიფით. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ზნეობრივი და სოციალური სიმწიფეც. მაგრამ ცხოვრებისა და განვითარების ამ ეტაპში ადამიანები შედიან განსხვავებულ ასაკში. ფიზიკურ სიმწიფეს რა თქმა უნდა უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ აქვე წარმოიშობა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი - ფსიქოლოგიურად რამდენად მზად არიან ახალგაზრდები ოჯახის შექმნისათვის. ახალგაზრდების ნაწილი 18 წლის ასაკში მზად არის იტვირთოს პასუხისმგებლობა, იშრომოს და წყვიტოს ცხოვრებისეული პრობლემები, მაგრამ ისეთებიც არიან, რომლებიც 20 წლის და მეტ ასაკშიც კვლავ ავლენენ ინფანტილიზმს, ისინი ვერ აკონტროლებენ ამ წამიერ განზრახვას, აღტყინებას, მოქმედებენ იმპულსურად. დაოჯახებისთვის ზნეობრივი და სოციალური მზადყოფნის აბსოლუტური კრიტერიუმის გამოვლენა შეუძლებელია. მაგრამ იმის დადგენა თუ რას ხედავს ახალგაზრდა ქორწინებაში და რა იზიდავს მას ამ მოვლენაში შესაძლებელია. თუ მისთვის ან ორივესთვის ეს მხოლოდ უდარდელი და მხიარული შეხვედრების გაგრძელების ან ფიზიკური სიახლოვის ლეგალიზების შესაძლებლობაა და მათ ვერ მოასწრეს ან ვერ შესძლეს საკუთარ თავში, გრძნობებში და ურთიერთ დამოკიდებულებაში გარკვევა, ასეთი ახალგაზრდები მზად არ არიან ესოდენ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადასადგმელად. სამწუხაროდ ახალგაზრდების ნაწილს ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მატერიალურ საკითხებზე, არ იციან თუ რა შრომის შედეგად იქმნება ყველაფერი, რაც კი მათ გააჩნიათ. დაქორწინების შემდეგაც უსასრულოთ აპირებენ მშობლების დახმარებით სარგებლობას და არ ჩქარობენ ფეხზე დადგომას. ყოველდღიური ყოფის ორგანიზების და უზრუნველმყოფის უცოდინარობა ხშირად ხდება ახალგაზრდა ოჯახში სერიოზული განხეთქილების მიზეზი.

ოჯახის დაგეგმარების და დაქორწინების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდებმა გულწრფელად უპასუხონ საკუთარ თავს და ერთმანეთს კითხვებზე: რას ელიან შეუღლების შედეგად? თვითოეულ მათგანს სურს მხოლოდ თვითონ იყოს ბედნიერი თუ ბედნიერება მოუტანოს თავის რჩეულს? მზად არიან თუ არა ერთმანეთს დაუდგნენ მხარ და მხარ ნებისმიერ გასაჭირში? ერთმანეთის მიმართ თუ განიცდიან პატივისცემასა და სრულ ნდობას? თუ გააჩნიათ შეხედულების ერთიანობა უმთავრეს ცხოვრებისეულ ფასეულობებზე, ოჯახურ ცხოვრებაზე, შვილების აღზრდაზე? თუ უფიქრიათ რა სახსრებით, სად და როგორ უნდა იცხოვრონ მომავალში? დაოჯახებისთვის სოციალური მზადყოფნა დიდ წილად განისაზღვრება ამ კითხვებში და მათ პასუხებში ასახული გარემოებებით. უმჯობესია, რომ ქორწინების მომენტისათვის უკვე დამთავრებული თუ არა დასრულების ფაზაში მაინც იყოს განათლების მიღება ან გააჩნდეთ პროფესია, ვინაიდან დაქორწინება და ბავშვის გაჩენა ხშირად ხდება განათლების მიღების შეწყვეტის მიზეზად. თუ ამ შეკითხვებზე პასუხების ან მათზე მოსაზრებების მშობლებთან გაზიარებას ახალგაზრდები შესაძლოდ მიიჩნევენ ეს უფრო წაადგება მათ და საერთო საქმეს.

ოჯახის სიმყარეში დიდი მნიშვნელობა აქვს მეუღლეების ფსიქოლოგიურ შეთავსებადობას და ის არ გამოიხატება მხოლოდ ხასიათისა და ჩვევების ადვილ შერწყმაში, არამედ არანაკლებად პიროვნების ფსიქოლოგიურ საფუძვლებში - რეაქციების ტემპში, ემოციურობის ტიპში, ნებისყოფის ხარისხში და ა.შ. მაგრამ იმაშიც კი ახალგაზრდულ ასაკს დადებითი მხარე გააჩნია: ახალგაზრდების ფსიქიკის პლასტიკურობა აიოლებს შეთავსების გამომუშავებას და თუ ყოველთვის არსებობს ერთმანეთისკენ ნაბიჯის გადადგმის მზადყოფნა, შეთავსება მიიღწევა უფრო სწრაფად, ვიდრე "დაღვინებული" ასაკის ქორწინებაში.- ძალიან მნიშვნელოვანია იმ გადაწყვეტილების მიღება, თუ ვისთან ერთად ქმნი ოჯახს, ვისთან ერთად უნდა ზიდო ის მძიმე უღელი, რომელსაც ცოლ-ქმრობა ჰქვია და ეს მანამდე კარგად უნდა გაირკვეს. ამიტომ ყოვლადდაუშვებელია ახალგაცნობილ ადამიანთან ოჯახის შექმნა, უნდა მოხდეს პიროვნების კარგად გაცნობა, ორი ადამიანის ფიქრების, აზრების, მიდრეკილებების, ფაასეულობების, ღირებულებების თანხვედრა და შემდეგ შეიქმნას ოჯახი.სიყვარულის თემა მარადიული და უკვდავია კაცობრიობისათვის. ადამიანს მთელი სერიოზულობით უნდა ესმოდეს, რომ თავისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრის არჩევანისას უმნიშვნელოვანეს საკითხს წყვეტს, რადგან თავის მეორე ნახევართან ერთად სიყვარულისა და მეგობრობის ტკბილი უღელი უნდა ზიდოს. სიყვარულში მთავარია სამი რამ. ორი ადამიანის ურთიერთობაში ძალიან მნიშვნელოვანია პიროვნებამ იცოდეს, როგორ უნდა გასცეს, როგორ მიიღოს სხვისგან და კიდევ, თუ რას ნიშნავს სხვა ადამიანისთვის ჭეშმარიტი თავის დადება.ანუ მეუღლე უნდა იყოს ის ნიადაგი, რომელზედაც მისი მეორე ნახევარი ამოვა და

გაიფურჩქნება; თუ ნიადაგი არ არის ნოყიერი, ის არ ირწყვება, ურთიერთთანადგომა ამდიდრებს და საინტერესოს ხდის ცხოვრებას, იმდენად სხვა კუთხით წარმოაჩენს ყველაფერს, რომ ის ყოველდღიური ერთფეროვანი ცხოვრება მეორე პლანზე გადადის, როგორც პიროვნებას, ასევე ოჯახს გააჩნია თავისი განვითარების საფეხურები, ოჯახი იბადება, ვითარდება, მწიფდება, იზრდება, ყალიბდება. ამ განვითარების პროცესში, როგორც პიროვნებას, ასევე ოჯახს ყოველთვის თან ზდევს გარკვეული განსაცდელები, რომელთა მეშვეობითაც როგორც პიროვნება, ასევე ოჯახიც იწრთობა, ისე, როგორც რკინა გამოიწრთობა, ცეცხლში. ოჯახი ასე იღებს სახეს, გამოცდილებას და ყალიბდება. ცოლ-ქმარი ერთი მთლიანობაა, ამ ერთობას განსაცდელთან გამკლავების კიდევ სხვანაირი დაცვის მექანიზმები აქვს, წლების მანძილზე იწრთობა ოჯახი და ემსგავსება ციხე-სიმაგრეს. მეუღლეები ერთმანეთისთვის ყველაფერი უნდა იყვნენ: მეგობარიც, შვილიც, დედაც, ყველაზე ახლობელი ადამიანები. ეს ელემენტები ცოლ-ქმრობაში გარკვეულწილად დევს, ზოგ სიტუაციაში მეგობარი ხარ, ზოგში მშობელი, ზოგში და, ძმა. ოჯახში ყველანაირად უნდა იზიარებდნენ ერთმანეთის ტკივილსაც და სიხარულსაც. მშვიდი და ჯანსაღი გარემო დადებითად აისახება ოჯახის ყოველდღიურ განვითარებაზე.

ორგანიზება არის ოჯახის მიერ შემსრულებლების, მათი განათლების, უნარ-ჩვევების, ჯანმრთელობის, გამოცდილების, პიროვნული თვისებების განსაზღვრა და ამის შემდგომ მათთვის ფუნქციების, უფლება-მოვალეობების გონივრული დელეგირება, რესურსების გამოყენების გაანალიზება, მოტივაცია წარმოადგენს საკუთარი თავის და სხვების ინტერესების რეგულირებას მატერიალური თუ მორალურ-ფსიქოლოგიური სტიმულირებით. ეს არის განწყობის პროცესი მიზნების მისაღწევად .მოტივირება არის მართვის მთავარი ფუნქცია. შეაგულიანოს, წააქეზოს, დააინტერესოს შემსრულებლები, რათა მათზე დაკისრებული დავალებები შესრულდეს დროულად და ხარისხიანად.

ოჯახში ფუნქციები კონტროლდება იმის მიხედვით, თუ ვინ ფლობს მართვის ბერკეტებს და ვინ უზრუნველყოფს ოჯახს მატერიალურად. თუ ოჯახში ერთპიროვნული მმართველობაა, ოჯახის ხაზინა აბარია მამაკაცს, რომელიც განაგებს ოჯახის შემოსავლებსა და ფინანსებს, ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, აქვს ავტორიტეტი შეუძლია ოჯახის წევრებზე გავლენის მოხდენა, საქმეების განაწილება და კონტროლი. შეუძლია ოჯახის მატერიალურ-მომხმარებლური და სამეურნეო საკითხების ორგანიზება, ოჯახის წევრთა სხვადასხვა ხასიათის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებად ეკონომიკური საფუძვლების შექმნა, კაპიტალის დაგროვება და წარმოება, აქვთ მტკიცე და ძლიერი ხასიათი, რომლითაც შეუძლია სიტუაციის ფლობა. არიან შრომისმოყვარენი და მიზანდასახულნი, სამართლიანნი, თუმცა თუ მამაკაცი მოისუსტებს მართვის და ხელმძღვანელის თვალსაზრისით, მაშინ ამ ფუნქციის შესრულება უწევს ოჯახში ქალს. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ოჯახის შემოსავლების ქალის ხელში თავმოყრა ნიშნავს უზომო ფლანგვის შეჩერებას და უზრუნველყოფას ბავშვების უკეთესი განათლებისა და ჯანმრთელობის. ქალი საკმაოდ ძლიერია პიროვნული თვისებებით და ძალიან ხშირად უფრო ძლიერ ნებისყოფას გამოხატავს, რაც წარმატების საწინდარია.ქალი ხელმძღვანელები ხასიათდებიან კომუნიკაბელურობითა და პიროვნებებთან დადებითი ურთიერთობის დამყარების უნარით, სწრაფი აზროვნებით, მტკიცე ხასიათით, მობილიზებულობით. ოჯახის გონივრულ გაძღოლაზეა დამოკიდებული მისი განვითარების დონე და წარმატების მიღწევა.

მაშასადამე, მენეჯმენტი (მართვა) განეკუთვნება ეკონომიკურ მეცნიერებათა რიცხვს, რომელიც შეისწავლის არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ ასპექტებსაც.

მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ერთიმეორისაგან ისეთი მცნებები, როგორიცაა ოჯახი და საშინაო მეურნეობა, რომლებიც ავსებენ ერთურთს. ეკონომიკურ თეორიაში ტერმინი საოჯახო მეურნეობა ,გამოიყენება საოჯახო ერთეულის ამოცნობისათვის, რომელიც შედგება ერთი ან რამოდენიმე პირისაგან, რომელთაც აერთიანებთ საერთო ბიუჯეტი, საცხოვრებელი ადგილი. რომელიც ამარაგებს ოჯახის ეკონომიკას რესურსით და გამოიყენებს ფულს სურსათის ან მომსახურეობის ყიდვაში. ეს არის უნივერსალური აღრიცხვით-სტატისტიკური ერთეული, განსხვავებული ტიპი მეურნეობის, და პირველდაწყებითი ეკონომიკური სისტემა. ოჯახური ეკონომიკისათვის ადეკვატური არის ოჯახური მეურნეობის განსაზღვრა, როგორც სფეროსი ოჯახის საქმიანობისა, რომელშიც ორგანიზება ხდება წარმოება და მოხმარება მატერიალური რესურსისა შრომის ხარჯზე,დროის ხარჯზე,ცხოვრებისეული ძალების აღდგენის მიზნით ოჯახის წევრების ხარჯზე.

ცხოვრებაში ადამიანები, რომელთაც ერთად მიჰყავთ მეურნეობა აქვთ ოჯახი, აქედან გამომდინარეობს სწორედ ტერმინი „საოჯახო მეურ-

ნეობა" რა თქმა უნდა საოჯახო მეურნეობას აქვს თავისი ეკონომიური, ტრადიციული მიზანიც: ცხოვრების დონის მაქსიმილიზაცია, შემოსავალი, სარგებელი, რესურსების ეკონომია, შრომის დრო. აქ მჭიდროდ არის გადახლართული რაციონალური და არარაციონალური, ხშირად ეკონომიკურ გათვლას შეიძლება ადგილი დაუთმოს ტრადიციულმა, მისთვის დამახასიათებელია ნაწილობრივი გამოყენება, დაქირავებული შრომის ლოიალურობა.

არსებობს კვლევა, რომელიც გვეუბნება, რომ ოჯახების 80 %-ს მიაჩნია, რომ ოჯახის წევრის ხელფასი ითვლება ოჯახში საერთო ხარჯისათვის. 67% თვლის, რომ ახალგაზრდა ოჯახს უნდა ეხმარებოდეს მშობლები. 48% თვლის რომ ოჯახის წარმოებაში საჭიროა ხარჯების ჩამოთვლა წერილობით. კითხვაზე ვინ გასწავლათ ოჯახის მენეჯმენტი, მართვა? 5% თვლის რომ ისწავლა წაკითხულიდან, 3%-სკოლიდან, 62%-ცხოვრებისეული გამოცდილებით.ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახის მართვა, უნდა ვისწავლოთ პროფესიონალურ დონეზე, განსაკუთრებით ეხლა-მსოფლიო ფინანსური კრიზისის ზრდის პერიოდში. საკმაოდ რთულმა ეკონომიკურმა სიტუაციამ მსოფლიოში, რომელმაც მოგვიტანა წარმოების შემცირება ქვეყანაში, სამუშაო ადგილის შემცირება, საკითხი ოჯახური ბიუჯეტის მართვის და ოჯახში ჯანმრთელი ფსიქოლოგიური კლიმატის შენარჩუნების დგას განსაკუთრებით მძაფრად.

ოჯახური წარმოების მენეჯმენტის შესწავლა გვეხმარება გადავჭრათ საკითხები და პრობლემები, რომლებსაც ვაწყდებით ცხოვრებაში თითოეული პირადად, თითოეული ოჯახი ცხოვრების პროცესში. აღსანიშნავია ის, რომ პირდაპირი მნიშვნელობა „ეკონომიკის" ჟღერს ასე „ოჯახური წარმოების მართვის მეცნიერება"[1] ბევრი ჩვენთაგანი ვერ წაიტრაბახებს რომ ფლობს ამ მეცნიერებას. მიზეზი მატერიალური მდგომარეობის დაუკმაყოფილებლობის არა მარტო პროცესია ჩვენ ირგვლივ გარემოსი, არამედ არასაკმარისი ცოდნა ამ მეცნიერების. იმ დროს როცა ვართ სამსახურში, ძალაუნებურად ვგეგმავთ, ვაანალიზებთ, ეკონომიას ვეწევით და ვფიქრობთ შემოსავლების გაზრდაზე. მაგრამ რა ხდება სახლში? რატომ ვეკიდებით ოჯახის ბიუჯეტს ასე უპასუხისმგებლოდ? ოჯახის ბიუჯეტიც ხომ ითხოვს ისეთივე სათუთ და სწორ გადანაწილებას, როგორც ნებისმიერი ორგანიზაციის ბიუჯეტი. ოჯახის ბიუჯეტის პრობლემა კიდევ უფრო აქტუალურია, მით უმეტეს ინფლაციის ზრდის და ფასთა ზრდასთან დაკავშირებით, რომელსაც ვერ ეწევა ოჯახთა უმრავლესობა ის, რაც ხელმისაწვდომი იყო ოჯახისათვის სულ ცოტა ხნის წინ, ეხლა თითქმის ფუფუნების საგნად იქცა. თითქოს შემოსავალი აქვს ოჯახს, მაგრამ არ მიდის დაგროვება. ეს პრობლემა ძალზედ აწუხებს ახლად შექმნილ ოჯახებს. ასეთ ოჯახს გაუჭირდება გვიპასუხოს კითხვაზე, შემოსავლის რა პროცენტს ხარჯავს ის პროდუქტზე, რა პროცენტი ეხარჯება მას ტანსაცმლის შეძენაში, ტრანსპორტში. ესე იგი ასეთი ოჯახი არ ითვალისწინებს და არ გეგმავს თავის შემოსავალს და გასავალს, შეიძლება ითქვას რომ რეგულარულ აღრიცხვას შემოსავლებისას აკეთებს მხოლოდ მოსახლეობის 19%, არარეგულარულად-27 %, ხოლო სულ არ აღრიცხავს 54%.

მოდით დავინტერესდეთ ადამიანებით, რომელთაც შემოსავლის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვთ. ვკითხოთ მათ, ეწევიან თუ არა ანალიზს თავისი შემოსავალ-გასავლის, აკეთებენ კი დაგეგმარებას, ეწევიან ეკონომიას და უფრთხილდებიან თუ არა შემოსავლის სწორ გადანაწილება-ხარჯვას და საქმეში ჩადებას. ჩვენ მივიღებთ ერთმნიშვნელოვან პასუხს. თუ არ დაგეგმე, არ გაანაწილე და გაითვალისწინე შემოსავალ-გასავალი, ე.ი სწორად არ მართე, ძალიან ჩქარა უმართაობა მიგიყვანს გაკოტრებამდე, ვალებში ჩაძირვამდე. ძალიან მნიშვნელოვანია ეს ცოდნა მიიღოს ადამიანმა ადრეულ ასაკში, ვთქვათ სტუდენტობის პერიოდში, რადგანაც ხშირად ახალგაზრდები სწორედ მაშინ ქმნიან ოჯახებს.

ოჯახი გამოსაკვლევად საკმაოდ რთული ობიექტია, ამიტომ ყოველი მეცნიერება, რომელიც მისი გამოკვლევითაა დაკავებული ქმნის თავის მოდელს და განსაზღვრებას. ეკონომიკურ ანალიზში ჩამოყალიბდა ორი ტრადიცია ანალიზის: მიკროზღვარი და მაკროზღვარი. მიკროზღვარი განიხილავს ცალკე ოჯახის ანალიზს, მაკროზღვარი კი ოჯახის ერთობლიობას საზოგადოებაში. მაშასადამე, გავყოთ ცნება ოჯახის და საოჯახო მეურნეობის. ოჯახის ქვეშ იგულისხმება ჯგუფი, რომლებიც გაერთიანებულია ოჯახურ ნათესაური კავშირით (ცოლქმრობა, მშობლები, ნათესაობა) არ არის სავალდებულო ამ ჯგუფმა იცხოვროს ერთ ჭერქვეშ. რა თქმა უნდა არ არის სავალდებულო მათ ჰქონდეთ ერთიანი ბიუჯეტი. ოჯახური მეურნეობა წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფს, რომლებსაც აერთიანებთ საერთო ამოცანები, საცხოვრებელი ადგილი, ბიუჯეტი და რა თქმა უნდა ოჯახურ-ნათესაური კავშირი. ტერმინები ოჯახის

[1] სამეცნიერო ეკონომიქსი - თბ. 2009.

მეურნეობა, ინდივიდი და ოჯახი ერთი და იგივე არ არის. ოჯახის მეურნეობა განიხილება, როგორც მეურნეობის სუბიექტი, როგორც ერთიანი სოციალური სტრუქტურის წარმომადგენელი-ოჯახი, ნათესაური და მეზობლური ურთიერთობები. ოჯახური მეურნეობის ძირი დევს ძალაუფლებრივ ურთიერთობაზე-კონტროლის უფლება გადაეცემა ოჯახის ერთ-ერთ წევრს -ანუ ოჯახის უფროსს. მაშასადამე, მიზანი ოჯახური მეურნეობის არის უზრუნველყოფა უკეთესი პირობების გარანტიისათვის იმის დამოუკიდებლად წინდაუხედავი მოვლენები ოჯახს ექნება თუ არა. ძირითადი ფუნქცია ოჯახური მეურნეობის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც წარმოება, რეალიზაცია და ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება, რომელიც თავისთავად განიხილება, როგორც ცოდნის ერთიანობა, პრაქტიკა და შრომისუნარიანობა. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ოჯახური მეურნეობის საქმიანობა ადამიანური კაპიტალის ფორმირების სქემის მიხედვით:



ცხრილი - 1

ადამიანი დამოუკიდებელია, ე.ი ის ღებულობს დამოიუკიდებლად გადაწყვეტილებას.

ადამინი ეგოისტურია, ე.ი პირველ რიგში ის ზრუნავს თავისი კეთილდღეობისათვის, ცდილობს თავისი სარგებელი აიყვანოს მაქსიმუმზე.

ადამინი რაციონალურია, ესეიგი ის მიზანმიმართულად მიიღწვის თავისი გეგმების ასასრულებლად.

ადამიანი ინფორმირებულია, ე.ი მან არა მარტო იცის თავისი მოთხოვნილებები, არამედ იცის როგორ დააკმაყოფილოს ისინი.

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია არ ხედავდა გადანაწილების პრობლემებს თვითონ ოჯახის შიგნით, მის შემოსავალს და რესურსებს. მხოლოდ 1950 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა პოლ სამუელსონმა შემოიტანა წინადადება განგვეხილა პრობლემა ურთიერთობებისა ცოლქმარს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, გამომდინარე იქიდან, რომ არსებობს"ოჯახური კონსენსუსი", რომელიც დამყარებულია ინტერესების თანხვედრაზე ან კომპრომისზე ოჯახის წევრებს შორის. მისი აზრით ოჯახის წევრებს შორის კავშირი არის საერთო ფუნქცია ოჯახის სწორი და კარგი არსებობისათვის, იმის მიუხედავად თუ რამდენად ეგოისტურად მოქმედებენ მისი წევრები. მან გამოიყენა თავის ნაშრომში ასეთი გამოთქმა "სისხლი-წყალი არაა", რომელიც გახდა არგუმენტი ამ სპეციფიურ საკითხში. მან გაავლო პარალელები ოჯახის შემოსავლებ-

ის ოჯახის ჩარჩოში და საზოგადოებაში. ოჯახური მეურნეობა, მთელ მის ფირმებთან და საზოგადოებრივი ორგანოსთან ერთად წარმოქმნიან მთელ ეკონომიურ სისტემას საზოგადოებისა. ოჯახურ მეურნეობებს აქვთ სტრუქტურა, ფუნქცია, კოლექტიური ნორმები, ფასეულობები, რომლებიც განსაზღვრავენ ინდივიდუალურ ქმედებას. მსოფლიო და ნაციონალურ ბაზარზე ოჯახური მეურნეობები (ოჯახები)თითქოს ცვლიან შრომის რესურსებს, პროდუქტსა და მომსახურეობაში.

საჭიროა ცოდნა იმ საკითხებისა, როგორიცაა სწორად კვება, სამედიცინო ცოდნა, ჯამრთელობის ხელშესაწყობად, პედაგოგიური ცოდნა, შვილების აღზრდისათვის, ესთეტიკის და ეთიკის ცოდნა, ჩაცმის კულტურა. რა თქმა უნდა ამასთან ერთად ადამიანი უნდა ერკვეოდეს საქონელწარმოებაში, კანონებში, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს გამყიდველსა და მყიდველს შორის, ერკვეოდეს ტექნიკაში, რომლის უმისოდაც არცერთი ოჯახი არ არსებობს, საჭიროა ცოდნა თუ როგორ ვაწარმოოთ ოჯახური ბიზნესი, როგორ მოვარეგულიროთ ოჯახური კონფლიქტები, დავგეგმოთ ოჯახური დღესასწაულები, გვქონდეს ნორმალური და კეთილგანწყობილი ურთიერთობები ნაცნობ-ნათესავებთან, მეზობლებთან. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი არ არის. რეალურად ოჯახი თვითონ ირჩევს სტრატეგიას და ტექნოლოგიას როგორ იყოს ბედნიერი.

რაც შეეხება ოჯახის ეკონომიკას იგი დაკავშირებულია ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებთან და მათ დაკმაყოფილებასთან. ეკონომიკის ანალიზი გულისხმობს ეკონომიკური ფაქტორების შესწავლას, როგორიცაა რესურსების გამოყენება და კონტროლი, შემოსავლების განაწილება და კეთილდღეობა, ფინანსების მართვა. საოჯახო ეკონომიკა მთელ სირთულეს წარმოადგენს, მაგრამ აუცილებელია ვიცოდეთ მისი მართვის ძირითადი მექანიზმი, როგორ უნდა გავუძღვეთ გონივრულად პატარა მეურნეობას, როგორ უნდა მართონ ადამიანებმა ოჯახური საქმიანობა. ოჯახზეა დამოკიდებული, როგორი იქნება მათი საოჯახო ეკონომიკა მიზანდასახული, თუ ქაოტური, მომჭირნე თუ უყაირათო, ხელმოჭერილი, თუ ასკეტური. ოჯახში აუცილებელია იყოს გასავლის წიგნი ხარჯთაღრიცხვა, შემოსავლისა და გასავლის გაანალიზება. გათვალისწინებული უნდა იყოს ოჯახის საჭიროებანი. გონივრულია თავშეკავება მომხმარებლური სურვილების დაკმაყოფილებაში. ოჯახის მიერ ფულის დაგროვების შემდეგ საჭიროა მისი გონივრული დაბანდება და გამოყენება. მთავარი არა მარტო ფულის მოპოვებაა, არამედ ამ ფულის აზრიანი გამოყენება. ოჯახში შემუშავებული უნდა იყოს ფულის ხარჯვის სტრატეგია, ხარჯვისადმი ყაირათიანი მიდგომა. ოჯახმა სწორად უნდა დაგეგმოს შემოსავლები და გასავლები, აკონტროლოს ფინანსური სახსრების ხარჯვის პროცესი, ბიუჯეტის შედგენა და კონტროლი, აუცილებელია, საოჯახო მეურნეობის სწორი მართვა და ფინანსური სახსრების რაციონალური განაწილება. ოჯახმა უნდა ასახოს ყველა შემოსავლის წყარო (ხელფასი, პრემია, სტიპენდია ,პენსია, დახმარება, ახლობლებისაგან მიღებული ფული,უცხოეთიდან მიღებული გზავნილები, თვითდასაქმებიდან,სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან,ქონების გაქირავებიდან), რომელიც შეიძლება ოჯახს გააჩნდეს. ხარჯი არსებობს დაგეგმილი და გაუთვალისწინებელი, რომელსაც ოჯახი ყოველდღიურად გასწევს. დამოუკიდებლობის გზაზე მდგარ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია სტაბილურობის მიღწევა, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს. ამ პრობლემის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, ცხოვრების დონის ამაღლებას და გაუმჯობესებას.

საქართველოში ორი ისტირიული პროცესი დაემთხვა ერთმანეთს. ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა და დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რისთვისაც ქვეყანა მომზადებული არ აღმოჩნდა. წარმოიშვა უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და მოვლენები რთულად განვითარდა. დაეცა წარმოების დონე, დაეცა მოსახლეობის ცხოვრების დონე. ძველის ნგრევა და ახლის შენება მოითხოვს გონიერებას და სიფრთხილეს, პროცესების დარეგულირებას. ქვეყნის საბაზრო ეკონომიკისაკენ სწრაფმა და უსისტემო სვლამ მნიშვნელოვნად შეცვალა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, ამას თან დაერთო განათლების, მეცნიერების კრიზისის გახანგრძლივება. უკიდურესად დაბალია მოსახლეობის ყველაზე მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა. ოჯახის მთლიან შემოსავლებში დახმარებების როლი (პენსიები, დახმარებები, სტიპენდიები) უმნიშვნელოა. ეკონომიკა თავისი ბუნებით, შინაარსით სოციალურ მიზნებს, ადამიანებს ემსახურება, იგი შინაგანად უკავშირდება ადამიანის ბედს, მის მოღვაწეობას, მიზნებს. ადამიანი უშუალოდ მონაწილეობს ეკონომიკურ საქმიანობაში, პროდუქციის წარმოებასა და მოხმარებაში. ეკონომიკის უზენაესი მიზანი ადამიანის მრავალმხრივი ინტერესების რეალიზაციაა. სა-

ზოგადოება თავისი განვითარების ყოველ საფეხურზე ცდილობდა გაეუმჯობესებინა ეკონომიკური მდგომარეობა, დაეკმაყოფილებინა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. ეკონომიკაში განიხილავენ ცხოვრების დონის ვიწრო და ფართო გაგებას. პირველი გულისხმობს ადამიანთა პირად მოხმარებას, მეორე ცხოვრების ყველა მხარეს, როგორც ეკონომიკურს, ასევე სოციალურს. ვიწრო გაგებით, ცხოვრების დონეს ახასიათებს, როგორც სინთეზური ისე ნატურალური მაჩვენებლები (ეროვნული შემოსავალი, რეალური შემოსავალი, საშუალო ხელფასი ასევე კვების პროდუქტების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ავეჯის მოხმარება) ფართო გაგებით, ცხოვრების დონეს აღნიშნულთან ერთად, ახასიათებს სოციალური მაჩვენებლები (შვებულების ხანგრძლივობა, შრომის დაცვა, თავისუფალი დროის ხანგრძლივობა. საზოგადოების განვითარებასთან ერთად განუხრელად იზრდება ადამიანთა მოთხოვნილებანი, რაც მოხმარების ზრდის აუცილებელი ფაქტორია. ადამიანთა მოთხოვნილებანი მრავალგვარია, რომელიც ჯგუფდება: ფიზიოლოგიურ (საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი ბინა) სოციალური (განათლება, ჯანდაცვა) და სულიერ (ხელოვნება, რელიგია) მოთხოვნილებებად. ადამიანთა მოთხოვნილებები განუსაზღვრელია, ისინი იცვლებიან დროსა და სივრცეში, როდესაც ადამიანს აქვს საკმარისი რაოდენობით საკვები და ტანსაცმელი, მათ უჩნდებათ სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილი. ოჯახში ხარჯების სტრუქტურა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია შემოსავლებთან. საქართველოს ოჯახში მნიშვნელოვანია თუ ვინ უზრუნველყოფს ოჯახს მატერიალურად, ეს არის მნიშვნელოვანი ფაქტორი. თუ წყვილს არა აქვს ანაზღაურებადი სამუშაო, ოჯახის სხვა წევრების როლი აღნიშნული ფუნქციის შესრულებაში ორჯერ იზრდება. არსებობს ოჯახები, სადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალების მიერ შემოტანილი თანხების ხვედრი წილი, ამიტომ რესურსების განაწილების სადავეები მათ აიღეს ხელში. ქალთა საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმა ის აუცილებელი პროგრესული პროცესი იყო, რომელმაც მათ მრავალი ათასეული წლის წინათ დაკარგული ღირსება აღუდგინა, ეს შეიძლება იყოს ეკონომიური იძულება ან შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება. ოჯახში რესურსების განაწილების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ათიდან რვა ქალი თანაბარი ხარისხით მონაწილეობს ოჯახში დიდი ფინანსური საკითხების გადაწყვეტაში. ოჯახში პირველად იფარება დანახარჯები, რომელიც წყალსა და ელექტროენერგიაზე მიდის, ნაწილი რაც დარჩება იხარჯება საკვებზე, ტანსაცმელზე, ტრანსპორტზე და ა.შ ქალებმა არ იციან რამდენს გამოიმუშავებენ მათი ქმრები და არა აქვთ ფული პირადი დანახარჯებისათვის. ქალები ვერ გრძნობენ, რომ შეუძლიათ ბავშვისა და სახლის გარდა ფული სხვა რამეზეც დახარჯონ,მაშინ როცა კაცებს აქვთ ჩვეულება ფული ჰქონდეთ ჯიბეში, მეგობრებთან და საყვარელ საქმიანობაში დასახარჯად. ოჯახში ვინც ფულს გამოიმუშავებს დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ის იღებს. საფინანსო კონტროლი, საცხოვრებლის შეცვლა, სახლისათვის ღირებულის შეძენა ქმრის მიერ მიიღება, ხოლო ყოველდღიურ საკითხზე გადაწყვეტილებები მაგალითად: საშინაო ხარჯები, ბავშვის ტანსაცმელი, ინტერიერის შინაგანი მორთვა ქალის მიერ მიიღება. ერთობლივად წყვეტენ ბავშვების განათლების და შვებულების ორგანიზებას.

შემოსავალი მოქმედებს ქორწინების სტაბილურობაზე.გამოკვლევები ადასტურებენ, რომ მომუშავე ქალები უფრო მეტად იყრებიან ვიდრე არამომუშავენი. იმ ოჯახში, სადაც ქალები მუშაობენ და დამოუკიდებელნი არიან, მათ არ აშინებთ ცხოვრება,ქალები კი რომლებიც არ მუშაობენ აკეთებენ ყველაფერს ოჯახის შესანარჩუნებლად, თუნდაც ეკონომიკური მოსაზრებით, რადგან მათ არა აქვთ კვალიფიკაცია. სასურველია ოჯახში ორივე წევრი იყოს დასაქმებული.დასაქმება კი შეიძლება მოხდეს როგორც გარკვეულ სამუშაოზე მოწყობით,ისე საკუთარი ბიზნესის წამოწყებით გარკვეული შემოსავლების მიღების მიზნით.საზოგადოების განვითარებაში შემოსავალი მნიშვნელოვანია, რადგან იგი უშუალოდ კავშირშია საზოგადოების თითოეული წევრის პირად დაინტერესებასთან. ამრიგად, ადამიანის ცხოვრების პირობებს, ნებისმიერ კონკრეტულ მომენტში განსაზღვრავს შემოსავალი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროც ადამიანის შრომაა. შემოსავალი ფიქსირდება ფულის სახით, ფაქტია, რომ საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე ადამიანები დაინტერესებულნი არიან, რაც შეიძლება მეტი შემოსავალი ჰქონდეთ, დააგროვონ მეტი სიმდიდრე, მაგრამ მაღალი შემოსავლების მიღებისა და სიმდიდრის დაგროვებისათვის მარტო სურვილი არ კმარა. შემოსავლების მიღება დამოკიდებულია მრავალ ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებებზე: პიროვნების ნიჭზე, უნარზე, მონდომებაზე, საერთო სტაბილურობაზე. უდიდეს გავლენას ახდენს ასევე განათლების დონე და ხარისხი, პროფესიული გამოცდილება და სპეციალობა, შრომითი ჩვევები,სტაჟი. ნები-

სმიერი საქმის წამოწყებისათვის საჭიროა გამბედაობა. მოთმინების უნარი, რისკიანობა, შეუპოვრობა, შრომისმოყვარეობა. ეს საქმიანობა შეიძლება იყოს სამეწარმეო,სოფლის მეურნეობის, და ა.შ თუმცაღა თითოეულ ადამიანს შეგნებული უნდა ჰქონდეს უდიდესი პასუხისმგებლობა დაგააზრებული უნდა ქონდეს მზად არის თუ არა საკუთარი საქმის საწარმოებლად, შეძლებს თუ არა გაუმკლავდეს პრობლემებს და იშრომოს თავდაუზოგავად და აქვს თუ არა ცოდნა ან გამოცდილება არჩეული საქმიანობის ირგვლივ.საქმის დაწყებამდე აუცილებელია საკუთარი იდეების წერილობითი ასახვა რასაც ბიზნეს გეგმა წარმოადგენს. ეს არის საკუთარი სურვილების, იდეების, მისწრაფებების გადატანა ქაღალდზე,რომელიც ასევე ასახავს საწარმოს მიზნებისა და მათი მიღწევის სავარაუდო ფინანსურ შედეგებს. ეს არის დამწყები ან უკვე მოქმედი მეწარმის მიერ მიზნების შემუშავებისა და მათი მიღწევის გზების განსაზღვრის მზადების პროცესი. იგი შედგება რამოდენიმე პუნქტისაგან: 1) ბიზნესის მოკლე აღწერა 2) ინფორმაცია მფლობელია ვინაობაზე 3) ფირმის ადგილმდებარეობა, დასახელება და მისამართი 4) საქმიანობის მიზანი 5) დარგის დახასიათება 6) წარმოებული პროდუქციის დეტალური აღწერა 7) ბაზრის შეფასება 8)მარკეტინგული სტრატეგია 9) ბიზნეს ორგანიზაციული ფორმა 10) წარმოების გეგმა 11) ხარჯების სიდიდე 12) ფინანსური გეგმა 13) დაფინანსების სტრატეგია და წყაროები.გააზრებული ბიზნეს გეგმის ჩამოყალიბების შემდეგ საჭიროა ფულადი სახსრების მოძიება, თუ არაგვაქვს საკუთარი კაპიტალი და ფულადი შესაძლებლობები შესაძლებელია საქმეში ჩართო პარტნიორი, რომელიც ფინანსურად დაგვეხმარება ბიზნესის წამოწყებასა და გამართვაში.

ოჯახური ეკონომიკისათვის აუცილებელია იყოს როლების გადანაწილება ოჯახში და მის წარმართვაში.როლი ოჯახში ეს არის დაფიქსირება პოზიციისა, რომელსაც ასრულებს ერთ ერთი წევრი. მასში შედის მამის, დედის, აღმზრდელის, ქმრის, ცოლის, ოჯახის უფროსის, საყვარლის, სექსუალური პარტნიორის, მეგობრის, მყიდველის, მომხმარებლის და ა.შ როლი, რომელსაც ირგებს ადამიანი ჯერ გაიაზრება, შემდეგ თამაშდება, იქმნება წარმოდგენა, ხოლო შემდეგ იღებს რეალიზებას საკუთარ ოჯახში. რა თქმა უნდა ეს ინდივიდუალურია ყველასათვის. როლის გადანაწილების ტრადიციული კლასიფიკაცია ოჯახში შემდეგია:

1) პასუხისმგებელი მატერიალურ უზრუნველყოფაზე: ეს როლი მოვალეობას იღებს თავზე უზრუნველყოს ოჯახი დოვლათით.

2) დიასახლისი-მოვალეობას იღებს საკუთარ თავზე, მოამარაგოს ოჯახი საჭირო პროდუქტით, სადილის მომზადებით, დაიცვას სისუფთავე, მოუაროს ოჯახის დოვლათს

3) პირი, რომელიც იღებს ვალდებულებას ურთიერთობა დაიკავოს ნათესავებთან, მონაწილეობა მიიღოს რიტუალებში და ოჯახურ ცერემონიებზე, ორგანიზებას აკეთებს და ალაგებს ურთიერთობებს ოჯახსა და ნათესავებს შორის.

4) პირი, რომელიც ზრუნავს გაუღვივოს ოჯახს სიყვარული კულტურული ღირებულებებისადმი, სხვადასხვა ინტერესებისა და გართობების მიმართ

5) ორგანიზატორი დასვენებისა და გართობების

6) ოჯახის ფსიქოთერაპევტი, რომელიც ზრუნავს ოჯახის პირად პრობლემებზე

7) სასიყვარულო პარტნიორი

8) აღმზრდელი

ოჯახის ტვირთის შემსუბუქების, მისი პროდუქტიულობის ასამაღლებლად არსებობს სწორედ შრომის გადანაწილება, რომელიც მოდის ჯერ კიდევ პირველყოფილი წყობიდან, მაშინ, როდესაც კაცები ნადირობდნენ, ხოლო ქალები ამზადებდნენ კერძს. დღევანდელ ოჯახშიც რა თქმა უნდა შრომა გადანაწილებულია. ვიღაცა მიდის პროდუქტის მოსატანად, ვიღაცამ შეაკეთა გაფუჭებული ელექტროტექნიკა, ვიღაცა ამზადებს ვახშამს, ვიღაც რეცხავს, აუთოებს, გააქვს ნაგავი. შრომის ასეთი გადანაწილება რა თქმა უნდა დამოკიდებულია სქესზე,თთ ასაკზე, მიდრეკილებებზე, სურვილსა და შესაძლებლობებზე. რა თქმა უნდა გაფუჭებულ ონკანს შეაკეთებს მამა, ყველაზე უკეთ ფარდას შეკერავს დედა, მოქსოვს, მოზარდი გარეცხავს ჭურჭელს, უფროსი ძმა გაიტანს ნაგავს. როდესაც ოჯახში ყველაფერი კეთდება ერთხმად საქმეც მიედინება ხალისით, ოჯახური ცხოვრება მიმდინარეობს წარმატებულად.სულ სხვა სურათია როდესაც მამა მთელი დღე უზის ტელევიზორს უსაქმოდ, შვილი უსმენს ხმამაღალ მუსიკას, მოზარდი უსაქმურობს, დაღლილი და დაქანცული დედა, რომელიც ეხლახან დაბრუნდა სამსახურიდან თავისი მხრებით მიათრევს მთელ ოჯახის ტვირთს. იქაც სადაც სწორად არის გადანაწილებული შრომა, შვილების მოუცლელობის გამო,დედა ზედმეტად იღებს თავის თავზე ბევრ საქმეს. ამიტომაც ქალის შრომა დღემდე დაუფასებელია და მძიმეა.თანამედროვე ოჯახში შრომის გადანაწილება ხდება კოლექტიურად სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ოჯახურ კრებაზე, სადაც წყდება ყველა საჭირბოროტო

საკითხები, შეთანხმებულად. ოჯახის შრომის გრაფიკი, საშუალებას აძლევს ოჯახს ყურადღება მიაქციოს ყველა ოჯახის წევრის საქმიანობას და პროდუქტიულობას. შეიძლება ოჯახმა შეადგინოს ერთი კვირის გრაფიკი,შეიტანოს კვირის მანძილზე გრაფიკში დამატებები, შესწორებები, დასახოს გეგმა მომავალ თვეზე ან უახლოეს სამ თვეზე. გეგმით გათვალისწინებული აქვს დიასახლისს როდის ექნება რეცხვის დღე,სტუმრად გასვლის დღე,ბაზრის დღე, როდის აპირებს რემონტს,ახალი ავეჯის შეძენას და ა.შ რა თქმა უნდა მთავარი ფაქტორია ურთიერთ დახმარება, რომ ყველამ აკეთოს თავისი საქმე ჰარმონიულად და შეთანხმებით.

გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ წარმოჩენას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, მოვალეობების განაწილებას და თანასწორ მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გენდერული თანასწორობა გულისხმობს რომ ცოლ-ქმარი თანაბრად წყვიტავს ოჯახის სოციალურ და ეკონომიკურ მხარეებს, არ არის საჭირო გაიგივდეს ქალი და მამაკაცი, მათ აქვთ სხვადასხვა ღირებულებები და მიზნები სხვადასხვა ინტერესები მიუხედავად ამისა მათი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული ცხოვრების ყველა დონეზე. ქალთა დიდი ნაწილი დასაქმდა განათლების, ჯანმრთელობის და კულტურის სფეროში. იგი ეკონომიურად აქტიური გახდა, ჩაერთო ქვეყნის მმართველობის სისტემაში, მიუხედავად იმისა რომ შრომის ბაზარზე მათი მონაწილეობა გაიზარდა ქალის უპირველესი ფუნქცია მაინც იყო ოჯახის მოვლა და შემდგომ ეკონომიური ფუნქცია, იგი ასოცირდება თავდაპირველად ყოველთვის რეპროდუქციულ საქმიანობასთან.

საქართველოში გენდერული თანასწორობის თემა მეტად აქტუალურია. ქვეყნის პროვინციებში დღენდე არსებობს მწვავე პრობლემა ქალების ჩაგვრისა და გენდერული უთანასწორობის. მაგალითად, გარიგებით გათხოვება, საკუთარი აზრის გამოხატვის შეზღუდვა, ქალების საზოგადოებისგან იზოლირება, დატვირთული ოჯახური საქმიანობის გამო და ასე შემდეგ. ამ პრობლემების გადაჭრა აუცილებლად უნდა მოხდეს, თუმცა ისეთი გზებით რათა არ დაზიანდეს ერის კულტურა. საქართველო პატარა , მაგრამ უძველესი კულტურისა და ისტორიის ქვეყანაა. თუმცა ეს უფლებას არ იძლევა დაიჩაგრონ ქალები. ჩვენს საზოგადოებაში მოჩნეულია, რომ ქალი უნდა "იჯდეს სახლში", "უაროს ბავშვებს" და საკუთარი თავი სრულიად მიუძღვნას ოჯახს. ასეთი დამოკიდებულება მას იზოლირებულს ხდის და ზღუდავს მის უფლებებსა და შესაძლებლობებს. როდესაც მამაკაცს, შეუძლია უფრო მსუბუქად მოეკიდოს ამ საკითხს და ყველაფერი დაატრიალოს თავისი სურვილისამებრ. ძალიან ხშირად ქალების საზოგადოება ამას იღებს როგორც ვალდებულებას და ითმენს იმას, რაც არ არის მოსათმენი. შესაბამისად საზოგადოებაში დამკვიდრდა აზროვნება, რომ მამაკაცს შეუძლია აკეთოს "რაც უნდა", ხოლო ქალი ყოველთვის უნდა მოქმედებდეს ეთიკისა და ნორმების ფარგლებში. სამწუხაროდ, ოჯახში ძალადობის სტატისტიკა არ არსებობს, რადგან მენტალობიდან გამომდინარე, საქართველოში და არა მარტო ჩვენში, ყველა ერიდება პრობლემების ოჯახის გარეთ გატანას. თუმცა, ამ პრობლემის დაფარვით უდიდესი ზიანი ადგება არა მარტო თავად ქალს, როგორც ფიზიკურად, მორალურად, ფსიქოლოგიურად, არამედ მთელ ოჯახს და განსაკუთრებით ბავშვებს, რომლებიც ამ ოჯახში იზრდებიან. საქართველოში ძალიან ხშირია ქალთა ძალადობის ფაქტები. რეგიონებსა და ეთნიკურ უმცირესობებში კი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. მას შემდეგ რაც ქალებმა აღმოაჩინეს, რომ მათი ადგილი მხოლოდ „კუხნაში" არ არის გამოავლინეს საკუთარი შესაძლებლობები სხვადასხვა სფეროში, მიიღეს განათლება და დასაქმდნენ, გენდერული თანასწორობის საკითხები კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.

კვლევის შედეგად მიღებული იქნა დასკვნები, რომ ადამიანისათვის პირადობის ფორმირების, ურთიერთობების ჩამოყალიბების ცხოვრების დაპროექტების, განათლების მიღების, უმაღლესის დამთავრების, კარიერის შექმნის შემდეგ, აუცილებელია ოჯახის შექმნა, თითოეულ ნორმალურ ადამიანს უჩნდება სურვილი, თავიანთი ცხოვრება გააზრებულად დაუკავშირონ პარტნიორს, რაც მნიშვნელოვანია ცივილიზირებული სამყაროსათვის, ეს ნიშნავს ერის გამრავლებას, შობადობის რეგულაციას, თაობათა განახლებას. ადამიანი თავისუფალი ავტონომიური არსებაა. მის კარგ ყოფაზეა დამოკიდებული საზოგადოების კეთილდღეობა და როდესაც საზოგადოება არის უკეთესი, მაშინ სახელმწიფოც არის ძლიერი, მადლმოსილი და მოწესრიგებული.

ბევრი მეცნიერი აღნიშნავს, რომ დღეს ოჯახური ურთიერთობები განიცდიან კრიზისს, რაც განაპირობა ობიექტურმა პროცესებმა, რომლებიც მიმდინარეობს ევროპის ქვეყნებში. მოხდა ღირებულებების გადაფასება, შეიცვალა საოჯახო და ყოფითი ურთიერთობები, მოხდა

ცხოვრების პირობების, სტილის, ნორმების შეცვლა, ოჯახის სტრუქტურის მოშლა, გაიზარდა მარტოხელა ოჯახების რიცხვი, გახშირდა ოჯახის დაყოფა-დაშორება, რამაც გამოიწვია შობადობის კლება, ჯანმრთელობის სფეროში კრიზისის გახანგრძლივება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, რისთვისაც ქვეყანა მომზადებული არ აღმოჩნდა, წარმოშვა უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მოვლენები რთულ ისტორიულ ფონზე განვითარდა - გამოიკვეთა მასობრივი უმუშევრობა, მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკური სტრუქტურის შეცვლა, ცხოვრების დონის საგრძნობი დაცემის ტენდენცია. მწვავედ დგას ახალგაზრდების დასაქმების, თვითდამკვიდრების პრობლემა, ამიტომ ალბათობა ოჯახის შექმნის და შვილების ყოლის ახალგაზრდების მიერ აღიქმება დაბალი აქტუალურობით ან მეორე უკიდურესობაში მომრავლდნენ ახალგაზრდები, რომლებიც ამ საკითხს მარტივად უყურებენ, ეს არის მათთვის წამიერი, უდარდელი, მხიარული შეხვედრების გაგრძელების, ფიზიკური სიახლოვის ლეგალიზაციის შესაძლებლობა, ასეთი ახალგაზრდები არ არიან თავიანთ თავში, გრძნობებში, ურთიერთდამოკიდებულებაში გარკვეულნი, არ არიან დამოუკიდებელნი, სტაბილურნი, ძლიერნი, ისინი ვერ აკონტროლებენ წამიერ განზრახვას. აღტკინებას მოქმედებენ იმპულსურად, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ოჯახზე, პასუხისმგებლობაზე, მოვალეობებზე, მატერიალურ სირთულეებზე. წინა საქორწილო ნაცნობობის ხანმოკლე პერიოდი ნაჩქარევი ნაბიჯი, ოჯახისადმი მოუმზადებლობა, ქარაფშუტული დამოკიდებულება ოჯახისადმი გაშორების პერსპექტივას დღეს უფრო მაღალს ხდის, ამიტომ კვლევის მონაცემთა ანალიზის შედეგად აუცილებელია დავასკვნათ, რომ, ახალგაზრდებმა უნდა შეისწავლონ პროფესიონალურ დონეზე ოჯახის მენეჯმენტი, მართვა, წარმოება, ოჯახური მეურნეობის გონივრულად გაძღოლა. აუცილებელია მოზარდების შეხედულების სიღრმისეული გაანალიზება ოჯახში შრომის, ცხოვრების და საქმის მიმართ. ძალიან მნიშვნელოვანია ეს ცოდნა ადამიანმა მიიღოს ადრეულ ასაკში. იგრძნოს და გაიზიაროს ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რასაც ოჯახი ქვია, ამიტომ ამ ნაშრომში შევეცადეთ პატარა წვლილი შეგვეტანა, დაგვენახებინა ახალგაზრდებისთვის ოჯახის პატარა, მაგრამ უნივერსალური მოდელი, რომელსაც უდიდესი ადგილი უჭირავს საზოგადოებაში და სახელმწიფოში, აქვს თავისი სტრუქტურა და ფორმები, რომელშიც იგულისხმება ჯგუფი გაერთიანებული ოჯახურნათესაური კავშირით (ცოლ-ქმრობა, მშობლები, ნათესაობა) მათ აერთიანებთ საერთო ამოცანები, ფასეულობები, შეხედულებები, მეურნეობა, ეკონომიკა, ბიუჯეტი, კაპიტალი, საცხოვრებელი ადგილი, ცოდნის ერთობლიობა, შრომისუნარიანობა, მიზნები, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ოჯახი არის სოციალური ინსტიტუტი, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა ფუნქციები (რეპროდუქციული, სოციალიზირებული, ემოციური, აღმზრდელობითი, მაკონტროლებელი, ეკონომიკური), სადაც ერთიანდება საზოგადოების აუცილებელი მოვლენა-თაობათა განახლება, მოსახლეობის გამრავლება, საზოგადოების კვლავწარმოება და უწყვეტობის დაცვა (ბავშვთა შობა,მათი კვება და მოვლა), მოზარდი თაობების სოციალიზაცია, შობადობის რეგულაცია, ოჯახში ემოციური სტაბილურობის უზრუნველყოფა. ეს არის სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის, დაცულობის, აღიარების და ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, სოციალური ნორმების დაცვა და შესრულება. ნებისმიერ საზოგადოებაში ოჯახი თამაშობს ეკონომიკურ ფუნქციას, სადაც ერთიანდება - რესურსების გამოყენება, კონტროლი, აღრიცხვა, შემოსავლების განაწილება, ფინანსების მართვა, ხარჯვის სტრატეგია, ოჯახის მიერ ფულის დაგროვება, გონივრული დაბანდება და გამოყენება, ბიუჯეტის შედგენა, შემოსავლებისა და გასავლების დაგეგმარება, შრომის განაწილება, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ხარჯვისადმი გონივრული დამოკიდებულება, რესურსების ეკონომია, წარმოება, რეალიზაცია, ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება, ცხოვრების დონის მაქსიმალიზაცია. ოჯახის მენეჯმენტის, მართვის დინამიკაში ერთიანდება სხვადასხვა ფუნქციები-ორგანიზება, მოტივაცია, კონტროლი, რეგულირება. ეს პროცესი მიმდინარეობს გააზრებულად, როდესაც წყვილები შეთანხმებულად არეგულირებენ საერთო მისიას, მიზანს, გეგმას, მათი მიღწევის გზებს. ოჯახში ასევე მოიაზრება ქალისა და მამაკაცის ფასეულობების, შესაძლებლობების, რესურსების ფლობა, სადაც ერთიანდება როლების, ძალაუფლების, შრომის, სწორი გადანაწილება, სქესობრივი ქცევის, ნორმების თანასწორობა.

მაშასადამე, ოჯახი არის უდიდესი მოდელი, რომელსაც აქვს თავისი სტრუქტურა, ფორმები, ფუნქცია, კოლექტიური ნორმები, ფასეულობები, რომლის სიღრმისეული შესწავლა და გააზრება დაგვეხმარება სწორად ვმართოთ, ვაწარმოოთ და მივაღწიოთ მოწესრიგებულად, დისციპლინირებულად დასახულ მიზნებს და ცხოვრების რთულ გზაზე შევინარჩუნოთ სტაბილურობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. ჩხარტიშვილი. „სოციალისტური ოჯახის ზნეობრივი ფუნქცია".
2. ნ. დურგლიშვილი. „ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი".
3. ი. ბადურაშვილი. „გენდერული ურთიერთობები თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში".
4. ნ. ჩიკვილაძე. „მართმადიდებლური სარწმუნოება ქორწინებისა და ოჯახის შესახებ".
5. შ. კახიძე. „საოჯახო საინფორმაციო სისტემის შემუშავება".
6. თ. შინჯიაშვილი. „საქართველოს მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურის ევოლუცია და მისი დემოგრაფიული შედეგები".
7. გ. ადეიშვილი. „ოჯახის მენეჯმენტი".
8. ნ. ჭანტურია. „ცხოვრების წესის გავლენა დემოგრაფიულ პროცესებზე".
9. მ. წერეთელი. „გენდერული ცნობიერების და მოქმედებისფსიქოლოგიური მექანიზმი".
10. ც. ლომაია. „ადამიანური რესურსების მართვა".
11. ზ. გოქაძე. „ერთეროვნული და შერეული ქორწინება".
12. გ. ბანძელაძე. „ეთიკა".
13. ლ. გაფრინდაშვილი. „გენდერი კულტურა თანამედროვეობა".
14. ი. პადავიჩი/ბ. რესკინი. „ქალები და მამაკაცები სამსახურში".
15. ლ. მენაბდიშვილი. „ბიოეთნიკური ქორწინებები და მისი დემოგრაფიული შედეგები".
16. ნ. ვირსალაძე. „მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაცია და მისი ეკონომიკურ-სტატისტიკური შესწავლა საბაზრო ეკონომიკის პირობებში"(საქ-ს მაგალითზე).
17. KAY, J. THE BUSINESS OF EKONOMICS, OXFORD UNYVERSITY PRESS, OXSFORD, 1996.
18. KOTLER, P. MARKETING MANAJEMENT ANALYSIS, PLANNING, IMPLEMENTATION, AND CONTROL, PRENTICE HALL INTERNATIONAL, HEMEL HEMPSTEAD, 1997.
19. John P. Kotler "The General Managers" NEW YORK, 2004.
20. www.google.ru
21. www.google.ge

THE FAMILY MANAGEMENT IN GEORGIAN CULTURE

TSIALA LOMAIA
professor of GTU

The family is the most important mode of organization of life forms.

Study of family management allows us to solve issues and problems facing the life. Should be able to make decisions, to maintain economic stability and achieve the set goal, which is stronger domestic production, the more his contribution to the welfare of the country.

The family is society and guarantee the stability of the country. Families should be firm, strong, long-term, purposeful, organized, disciplined and developed, where will be the correct moral relationships, and sense of responsibilities, the decisions will be agreed, deliberately. The primary function of the family that nation's breeding, maintenance and development of thinking about and taking care of is called.